საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - პ. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 22.05.2023

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: - №048/23

საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ე. ა.-ის /სიითი№/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა - ადვოკატ ე. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 22 მაისს საჩივრით მომართა პ. ჩ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის 2023 წლის 06 ვლისის დისციპლინურ სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს თავის ყოფილ ადვოკატთან, ე. ა.-სთან და ითხოვს მის დისციპლინირებას. საჩივრის თანახმად, მოსარჩელე ზ. ნ.-სთან არსებულ, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში, მას დასჭირდა ადვოკატის დახმარება, რისთვისაც მიმართა ადვოკატ ე. ა.-ს, რომელმაც მისცა გარანტია, რომ ის აუცილებლად მოიგებდა სასამართლო დავას.

ადვოკატმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მომჩივანმა დაკარგა საცხოვრებელი ბინა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ე. ა.-მ, იმაზე მითითებით, რომ ის 100% - ით შეძლებდა სასამართლო დავის მოგებას, აუკრძალა მომჩივანს, მოსარჩელესთან მორიგება და მიუხედავად კლიენტის პირდაპირი მოთხოვნისა, უარი განაცხადა სასამართლო წარმოებაში კონკრეტული პირების მოწმის სახით ჩართვაზე. საჩივრის თანახმად, მას შემდეგ, რაც სასამართლო დავა მომჩივანის ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილებით არ დასრულდა მან განცხადებით მიმართა პროკურატურას და გამოთქვა ეჭვი, მის ყოფილ ადვოკატსა და მოსარჩელე მხარეს შორის არსებულ შესაძლო გარიგებაზე, რამაც ადვოკატის მხრიდან გამოიწვია უარყოფითი ქცევა და საჩივრის თანახმად ადვოკატი, ე. ა., დღემდე აგრძელებს მომჩივანზე სიტყვიერ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

1.4 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევა არ შეესაბამება ადვოკატის პროფესიულ ეთიკას. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატს არ უნდა მიეცა მისთვის უსაფუძვლო გარანტია საქმის შედეგთან დაკავშირებით და არ უნდა შეექმნა მისთვის არასწორი წარმოდგენა, ადვოკატს საქმეში მოწმის სახით უნდა ჩაერთო მის მიერ მითითებული პირები და უნდა განეხილა მოლაპარაკება მოწინააღმდეგე მხარესთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი ითხოვს მოპასუხე ადვოკატის, ე. ა.-ის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ე. ა.-ს 2023 წლის 30 მაისს გაეგზავნა საჩივარი, თანდართული დოკუმენტებით და სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად ეცნობა ეთიკის კომისიაში მის წინააღმდეგ შემოსულ საჩივარზე. ადვოკატმა 2023 წლის 05 ივნისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება თანდართული დოკუმენტებით.

2.2 მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა უარყო საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიები და განმარტა, რომ მას არასდროს მიუცია კლიენტისთვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტია. ამასთან, თავად პ. ჩ. იყო უარზე, სასამართლოში საქმე მორიგებით დასრულებულიყო, ხოლო რაც შეეხება მოწმეთა გამოკითხვას, ადვოკატის განმარტებით მომჩივანს მსგავსი რამ მისთვის არასდროს შეუთავაზებია.

2.3 მოპასუხე ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად ის, რომ მის ყოფილ კლიენტსა და მოსარჩელე მხარეს, ზ. ნ.-ს შორის არ შედგა მოლაპარაკება, მისი ყოფილი კლიენტის, პ. ჩ.-ის გადაწყვეტილებით იყო განპირობებული. ადვოკატის განმარტებით, მხარეებს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა; სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, 2020 წლის 09 იანვარს, ზ. ნ.-ის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც მას აეკრძალა პ. ჩ.-თან მიახლოვება. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, კი პ. ჩ., მოსარჩელესთან მორიგებას არც კი განიხილავდა. ადვოკატის განმარტებით, მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ შესთავაზა მხარეებს საქმე მორიგებით დაესრულებინათ, რაზეც პ. ჩ.-მა უარი განაცხადა. ამის შემდეგ თავად, მოსარჩელე

მხარემ, ზ. ნ.-მ, ორჯერ გამოხატა სურვილი მორიგებოდა პ. ჩ.-ს, თუმცა მომჩივანმა არ ისურვა მასთან შეხვედრა. შესაბამისად მომჩივანის პრეტენზია, რომ ის არ განიხილავდა მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებას სიცრუეა და ეს თავად კლიენტის პოზიციით იყო განპირობებული. რაც შეეხება მოწმეთა დაკითხვას, ადვოკატის განმარტებით, მის ყოფილ კლიენტს არასდროს მოუთხოვია საქმეში მოწმის სახით გამოკითხულიყო ესა თუ ის პირი, ხოლო, ყოფილი კლიენტისთვის არასასურველი შედეგის დადგომა, საქმეზე მისი არასახარბიელო პოზიციით იყო განპირობებული.

2.4 მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, მან თითქოს პ. ჩ.-ს მისცა გარანტია საქმის შედეგთან დაკავშრებით, სიცრუეა და მას ყოფილი კლიენტისთვის არასდროს მიუცია პირობა, რომ ის საქმეს 100 %- ით მოიგებდა მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქმეში არსებული ფაქტები, არ მეტყველებდა მომჩივანის ინტერესის სასარგებლოდ.

2.5 ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ე. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო /არასრულწლოვანათა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები/.

3.2 პ. ჩ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 22 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ე. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ე. ა.-მ მას საქმის შედეგთან დაკავშირებით მისცა გარანტია.

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.3 მუხლი).

5.2 საადვოკატო პროფესია თავისუფალ პროფესიათა ჯგუფს განეკუთნება, რაც ადვოკატების მხრიდან, კლიენტთათვის საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში მომსახურეობის დამოუკიდებლად გაწევას გულისხმობს. თავისუფალი პროფესიისთვის დამახასიათებელი თვითრეგულირებადი ბუნება, ადვოკატს ანიჭებს შესაძლებლობას საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს საკუთარი გამოცდილებითა და კვალიფიკაციით და არ დაუშვას მესამე პირთა თვითნებური ჩარევა საადვოკატო საქმიანობაში. მიუხედავად პროფესიის ავტონომიური ბუნების მაღალი ხარისხისა, აუცილებლია ის ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსისა და მასთან თანმდევი ვალდებულებების თანადროულად განიმარტოს, რაც ადვოკატს უპირატესად კანონის, ეთიკის ნორმების დაცვასა და საერთო კორპორაციული ინტერესების, პროფესიის პრესტიჟისა და რეპუტაციის მიმართ ზრუნვის ვალდებულებას აკისრებს. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიის თვითრეგულირებადი ხასიათი არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, თითქოს ადვოკატს, პროფესიის საერთო ინტერესების გაუთვალისწინებელად ერთპიროვნული, პროფესიის საერთო ინტერესებთან შეუთავსებელი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა ჰქონდეს.

5.3 „ადვოკატს ეკრძალება კლიენტისათვის საქმის შედეგებთან დაკავშირებით გარანტიის მიცემა. ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, რომ იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N077/13).

5.4 გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპის შინაარსიდან გამომდინარე, გარანტიის მიცემის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც უთითებს, რომ ადვოკატმა აღნიშნული პროფესიული ქცევის წესი დაარღვია. “კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.” (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/183-11).

5.5 თავის მხრივ, გარანტიის მიცემის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ ადვოკატის მხრიდან, კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ფაქტის დადასტურებისთვის საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირმა წარმოადგინოს უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ, ადვოკატის გარანტიის მიცემაზე, რადგან ხშირ შემთხვევაში, საადვოკატო

მომსახურეობის მიმღები პირებისა და მათი ახლობლების, მძიმე ემოციური მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება ადვოკატის, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიმართ, შეიძლება გახდეს ადვოკატის მხრიდან შეთანხმებული დაცვის სტრატეგიისა თუ საქმის შესაძლო განვითარების შესახებ გამოთქმული ვარაუდის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი. შესაბამისად, კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ფაქტის დასადგენად, აუცილებელია მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იყოს ზუსტი, მკაფიო და უტყუარი, რათა კოლეგიას მიეცეს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს ადვოკატის ის განცხადებები თუ ქმედებები, რომლებიც გარანტიის მიცემის ნაწილში გახდა სადავო.

5.6 ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეზე №077/13 სადაც ადვოკატს გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით კლიენტი უჩიოდა, განხილვის კოლეგიამ, მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ახსნა-განმარტებისა და საქმეში ჩართული მოწმეების გამოკითხვის საფუძველზე (მიუხედავად იმისა, რომ მოწმეები მომჩივანის პოზიციისთვის სასარგებლო ფაქტზე მიუთითებდნენ) დაადგინა, რომ ადვოკატს არ მიუცია კლიენტისთვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტია, რადგან კოლეგია მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტების საფუძველზე „ვერ დარწმუნდა“ ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ფაქტში.

5.7 ეთიკის კომისიის მიერ, ადვოკატის მხრიდან კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ფაქტის დადგენისთვის საკმარისი მტკიცებითი სტანდარტის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, მითითებული პრაქტიკის თანადროულად, ეთიკის კომისიის 2016 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზ №044/16, სადაც ეთიკის კომისიამ, ადვოკატის მიერ, კლიენტისთვის საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემის ფაქტი, მხარეთა შორის დადებული საადვოკატო ხელშეკრულების შეფასების შედეგად დაადგინა და არა მარტოოდენ, მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება.

5.8 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ადგენს, რომ კოლეგიისთვის უტყუარი, ზუსტი და მკაფიო მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ ადვოკატმა ე. ა.-მ კლიენტს საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტია მისცა, ეკისრება საჩივრის ავტორს, პ. ჩ.-ს.

5.9 კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ფაქტის დასადგენად, მომჩივანმა წარმოადგინა, მხოლოდ საკუთარი წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება, თავის მხრივ ადვოკატმა უარყო გარანტიის მიცემის ფაქტი და განმარტა, რომ მომჩივანის აღნიშნული პრეტენზია არ შეესაბამება სიმართლეს. მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების პარალელურად, საქმეში წარმოდგენილი არ არის, რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც მისცემდა კოლეგიას, ადვოკატსა და კლიენტებს შორის არსებული კომუნიკაციის შეფასებისა და ამის საფუძველზე გარანტიის მიცემის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას. მაგალითად, საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატ ე. ა.-სა და პ. ჩ.-ს შორის დადებული საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულება, შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინოს ადვოკატ ე. ა.-ის მხრიდან, კლიენტებისთვის გარანტიის მიცემის ფაქტი.

5.10 ადვოკატის მხრიდან გარანტიის მიცემის ნაწილში, საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ ე. ა.-ის მხრიდან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, კლიენტისთვის გარანტიის მიცემის ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ე. ა.-მ, მას აუკრძალა მოდავე მხარესთან მორიგება, საქმეზე არ გამოკითხა მოწმეები და დღემდე შეურაცხყოფს მას როგორც სიტყვიერად ასევე ფიზიკურად.

საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-3 მუხლი)
>
> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-8.5 მუხლი)
>
> ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-5მუხლის „ა“ წვეპუნქტი და მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

5.12 კლიენტი, ადვოკატს იმ საკითხების გადასაჭრელად მიმართავს, სადაც მას თავად არ გააჩნია მათი მოგვარებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ადვოკატი კლიენტის „დაუცველი“ ინტერესების გარანტორად გვევლინება და კლიენტის ინტერესების შესაბამისად იყენებს თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. საადვოკატო მომსახურეობის გაწევისას, ის რითიც ადვოკატმა უპირატესად უნდა იხელმძღვანელოს არის კლიენტის ინტერესები და მათი თანხვედრა კანონთან. სხვა ყველა დანარჩენი, იქნება ეს თავად ადვოკატის პირადი თუ მესამე პირების ინტერესები, მეორეხარისხოვანია და მათ კონკურენცია ვერ უნდა გაუწიონ კლიენტის ინტერესებს.

5.13 სწორედ კლიენტის „დაუცველი“ ინტერესების არსებობა განაპირობებს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაში ნდობის არსებობის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ ადვოკატის კომპეტენტურობას, პატიოსნებას, დამოუკიდებლობასა და მის ღირსებას ემყარება. ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

5.14 ადვოკატს პროფესიული ეთიკა, თავად პროფესიის ფუნქციიდან გამომდინარე, უპირატესად აკისრებს ვალდებულებას, თავისი კლიენტის მიმართ იყოს ემპათიურად განმსჭვალული,

კეთილსინდისიერი მიზნებითა და მისი ინტერესების მიმართ გულისხმიერებით განწყობილი. კლიენტის მიმართ არაჯანსაღი, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება პირდაპირ არღვევს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს და ლახავს არა მხოლოდ მის, არამედ მთლიანი პროფესიის რეპუტაციას. ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კლიენტი მას, საკუთარი „დაუცველი" ინტერესების დასაცავად, სთხოვს დახმარებას და ის უნდა იყოს მისი კანონიერი უფლებების დამცველი, შესაბამისად მან პირველ რიგში, კლიენტთან ურთიერთობისას, თავად უნდა სცეს პატივი კანონსა და ეთიკის ნორმებს და მხოლოდ ამ გზით, დადებითი, კეთილსინდისიერი და გულისხმიერი დამოკიდებულებით დაამყაროს კლიენტთან ურთიერთობა.

5.15 საჩივარში დაფიქსირებული პრეტენზიების დადგენის მიზნით განსახორციელებელ მტკიცებასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინურ წარმოებაში დადგენილი ზოგადი სტანდარტით, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ადვოკატის მხრიდან პროფესიული ქცევის წესის დარღვევას უთითებს. მტკიცების ტვირთის აღნიშნული გადანაწილება, პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმციიდან მომდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ „კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული გარემოებების მტკიცების ტვირთი, საკანონმდებლო წესრიგიდან არსებული გადახრის მამტკიცებელ პირს ეკისრება" (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე №2ბ/183-11). ამასთან, მხარეს უნდა მოეთხოვოს, იმ ფაქტების მტკიცება რომელიც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. შესაბამისად მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატმა ე. ა.-მ კლიენტს მიაყენა შეურაცხყოფა, აუკრძალა მხარესთან მორიგება და საქმეზე, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ გამოკითხა მოწმეები, ეკისრება საჩივრის ავტორს, პ. ჩ.-ს.

5.16 მითითებული პრეტენზიების დასადასტურებლად, მომჩივანმა საპროცესო კოლეგიას წარუდგინა მხოლოდ საკუთარი წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის ავტორმა არათუ მტკიცებულებები არ წარმოადგინა, არამედ საპროცესო კოლეგიას არ მიუთითა ის კონკრეტული ფაქტები, რომელთა დამტკიცებაც, საქმეზე მითითებულ პრეტენზიებს დაადგენდა. დისციპლინური საქმის წარმოების საპროცესო ეტაპზე, მომჩივანმა ვერ უზრუნველყო სათანადო მტკიცების განხორციელება; ადვოკატის მხრიდან მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის დადასტურების მიზნით, მომჩივანმა არ დააკონკრეტა თუ ადვოკატის რომელი ქმედება მიიჩნია ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფად და ზოგადად მიუთითა საპროცესო კოლეგიას შეურაცხყოფისა და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე; მომჩივანს ასევე არ მიუთითებია კოლეგიისთვის თუ, რომელი პირების ჩართვა მოითხოვა საქმის წარმოებაში მოწმის სახით და შესაბამისად არ წარმოუდგენია ის მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ადვოკატის მხრიდან, მოწმეთა გამოკითხვაზე უარის თქმის ფაქტს; ამასთან, მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებდა ადვოკატის მხრიდან, მოდავე მხარესთან მისთვის მოლაპარაკების აკრძალვას. თავის მხრივ ადვოკატმა უარყო თითოეული პრეტენზია და განმარტა, რომ მომჩივანს არასდროს მოუთხოვია საქმეზე მოწმეთა გამოკითხვა, მას სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა მისთვის არ მიუყენებია და რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებას, თავად პ. ჩ. იყო ამის კატეგორიულად წინააღმდეგი. შესაბამისად, მომჩივანის

მხრიდან საკუთარი პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობითა და სადავო ფაქტებთან დაკავშრებით არსებული მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი განმარტებების საფუძველზე საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინოს ადვოკატ ე. ა.-ის მხრიდან, კლიენტისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელების ფაქტები.

5.17 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ ე. ა.-ის მხრიდან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8.5 მუხლებითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის, მე-5 „ა“, მე- 3 „დ“ მუხლებით გათვალისწინებული, კლიენტის ინტერესების უპირატესობის, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურეობის გაწევის ვალდებულებების დარღვევის ფაქტი.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №048/23 ადვოკატ ე. ა.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან ვერ დასტურდება მისი მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/